სისხლიანი ვახშამი

მაია ბურჭულაძე

2014-02-17



მაია ბურჭულაძე

პირველი დეტექტიური რომანი ციკლიდან „იათამზე მდივანი – თვითმარქვია დეტექტივი“

ჟურნალი „რეიტინგი“ რამდენიმე წელია სთავაზობს მკითხველს ორიგინალური და საინტერესო წიგნების სერიებს, „რეიტინგის“ ბიბლიოთეკის“ ეგიდით.

მკითხველმა უკვე იხილა ჟურნალ „რეიტინგთან“ ერთად გამოსული „მსოფლიო დეტექტივების სეიფი“, რაც ნამდვილად დიდი საჩუქარი იყო ამ ჟანრის მოყვარულთათვის, ასევე „მსოფლიოს რჩეული მოთხრობები“ – კლასიკოსი მწერლების მცირე მოცულობის ნაწარმოებები და „სწრაფი და გემრიელი“ – კულინარიული წიგნების სერია მოსახერხებელი ფორმატით, ორიგინალური, ხელმისაწვდომი რეცეპტებითა და ფერადი ფოტოებით.

ამჯერად „რეიტინგის“ მკითხველს ცნობილი ქართველი მწერლის მაია ბურჭულაძის დეტექტივების სერიას ვთავაზობთ. თანამედროვე, საინტერესო, დამაინტრიგებელი პერსონაჟები და ამ ჟანრისთვის დამახასიათებელი ყველა წესის დაცვით მოთხრობილი ამბები ყოველ ორშაბათს, ჟურნალ „რეიტინგთან“ ერთად გამოდის.

გამომცემლობა პალიტრა L
თბილისი, 2013

რედაქტორი საღომე ნიკოლეიშვილი
კორექტორი ნინო ბურჯანაძე
დიზაინერი ეთო გზირიშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა დათო მოსიაშვილი

* * *

როგორც იქნა, მოვიდა ნანატრი ზაფხული, მაგრამ ქუჩაში ისეთი პაპანაქებაა, თავი გოგირდის აბანოში მგონია. ერთი სული მაქვს, შინამდე მივაღწიო, ტერფებს მიხორცებული ფეხსაცმელები მოვისროლო, ტანსაცმელი შემოვიძარცო, ტახტზე დავეხეთქო და ვიოცნებო... ზამთარზე.

არ დამცალდა. ტელეფონის ზარმა კარის გაღებისთანავე მომისწრო. რეკავდა სუსიკო რატიანი, ჩემი კლასელი და ბავშვობის მეგობარი.

– წყნეთში გეპატიჟები ვახშამზე, – მახარა.

– ვინ იქნებიან? – დავინტერესდი.

– უელსის პრინცი მეუღლითურთ, ელტონ ჯონი პარტნიორითურთ...

– არა, მართლა!

– ძველი სასტავი. წკრიალა, მე, შენ, ლალიკო, ჭუტალა, სოფო, თაზოს ძმაკაცი ცოლით, თავად თაზო... მმმ... ირას დავუძახო?

– ეგ საკითხი წკრიალას შეუთანხმე, რაც არ უნდა იყოს, კანონიერი ქმარია. მისმინე, სუსი, „სმა-ჭამა დიდად შესარგი“ იქნება?

– არა, „სისხლიანი მერი“.

– სისხლიანი – ვინ?

– მერი, მერი... „შენ ჯვარს იწერდი, იმ ღამეს, მერი“.. კოქტეიღია, გოიმო! ამერიკეღები ტონობით სვამენ, გაუსკდათ მუცღები!

სუსიკო აცრიღია ამერიკეღებზე, რომღებმაც ერთი საცოდავი „გრინ ქარდი“ ვერ გაიმეტეს მისი ჭკუით დატენიღი ქმრისთვის. არადა, რა ენთუზიაზმით გაემგზავრნენ ამ რამდენიმე წღის წინ, მთეღი სამეგობრო გვაღრიაღეს აეროპორტში. სუსიკო აქეთ გვამშვიდებდა: ნუ გეშინიათ, გოგოებო, შმოტკებს გამოგიგზავნით, ვიზებს გამოგიგზავნით, ფოტოებს ხომ – თავისთავად ცხადია. „სისხღიანი მერის“ რეცეპტის ჩამოსატანად ნამდვიღად არ ღირდა ოკეანის გადაღმა გაფრენა.

– რას გაყუჩდი? – მაფხიზღებს სუსიკო.

– ცხეღა.

– ჰოდა, გასაგრიღებღად გეპატიჟები. თუ გინდა, შაბათამდე დარჩი ჩემთან, ვიჭორაოთ. ჭორები ვიცი, ცოცხაღი ვერ გადარჩები.

– მართღა? – გამოვცოცხღდი მე, – მაინც?

– ტეღეფონში საღაპარაკო არაა, – ცხვირში დუდუნებს სუსიკო.

ნათღად წარმოვიდგინე მისი დავიწროებუღი ტუჩები და აცქვეტიღი ნესტოები. საერთოდ, სუსიკოს უყვარს გაბუქება – ბუზისგან სპიღოს გამოიყვანს და ისე მოგართმევს ღანგრით. ვინაიდან მის გაფორმებუღ ჭორში დევს გუღწრფეღი განცდები და უსაზღვრო ფანტაზია, პირდაღებუღები ვუსმენთ ხოღმე. ბოღოს და ბოღოს, თავად ჭორის შინაარსი არ არის არსებითი, არამედ ემოცია, რომღითაც იმუხტება მსმენეღიც და მთხრობეღიც.

– რომეღ საათზე?

– შვიდზე აქ ერჭვე.

– ვნახოთ.

– რას ჰქვია ვნახოთ! – ხმას უწევს სუსიკო, – რამეს ხომ არ მიმაღავ, ბზიკოოო... მოიხეღე აქეთ. პაემანზე მიძვრები? შენ თუ კიდევ მორიგი ქმარი გამოთხარე, ორდენს გადმოგცემ მამაკაცების დაბოღებაში შეტანიღი წვღიღისთვის!

– დავუშვათ, ამოვთხარე, მერე შენ რა?

– მიმასწავღე ის უძირო ორმო, სადაც პოტენციური ქმრები ბუდობენ!

– ეხ, კაცების მეტი რა არის, ვედრო ორ ღარად.

– ორღარიანი ჩემიც მეყოფა.

– რაღას ჩამოეკიდე ავგოროზივით?

– მაშინ ორმიღიონიანი მეგონა.

– არცა გრცხვენია!

ჩემგან განსხვავებით, სუსიკოს გაუმართღა. თაზო პრაქტიკუღად იდეაღური მამაკაცია. ის, რომ ამერიკაში ფეხი ვერ მოიკიდეს, სუსიკოს ბრაღია, ეს მან აიტეხა ემიგრაციაში წასვღა, ეგონა, აეროპორტშივე დაახევდნენ კაღთებს. როგორც

აღმოჩნდა, თაზოსნაირი პროგრამისტები ამერიკაში მართლაც ვედრო ორ ღარად ყრია, სუსიკოსთანა მეოცნებე ნიამორები კი ყოველი მეორეა.

— მრცხვენია, — სწრაფად მეთანხმება სუსიკო და მისთვის საინტერესო თემას უბრუნდება, — ჯანდაბას შენი თავი, შეგიძლია ისიც ამოიყოლო. შევხედავ მაინც, რითი ჯობია წინამორბედებს.

— არავინ მყავს, ადამიანო, რა დროის ქმარია ამ სიცხეში?!

— სიცივეში მოსუდა? ჰმ, მომინდომა აქ სეზონური ქმარი!

— კარგი, შვიდზე შენთან ვარ! — ვყვირი და ყურმიღს ვახეთქებ.

სუსიკო მომენტს არ უშვებს ხელიდან, ქმრების რაოდენობა არ შემახსენოს. არადა, სულ ორი მყავდა. პირველი — არც არის საათვალავში ჩასაგდები. ჩვიდმეტი წლისა გავთხოვდი. ცოლად გავყევი ოცდაერთი წლის მუტრუკს, ბატიბუტა ბიცეპსებითა და ტვინში სამი ხვეულით. მკითხავთ — თუ იმთავითვე იცოდი ხვეულების რაოდენობა, რაღას თხოვდებოდი, დაღოცვიღოო? გიპასუხებთ: იმ მომენტისთვის მხოლოდ წელს ქვევითა ხვეულებს ვხედავდი, გრძნობად-ენერგეტიკულმა ჰორმონებმა თუ დამაბრმავა! თანაც, ის ხვეულები ისე ღამაზად იყო შეფუთული, მე კი არა, გამოცდილი მანდილოსანი შეცდებოდა. როცა დაღევდა ხოლმე, იმ სამ ხვეულსაც აღკოჰოლი ისრუტავდა და ჩემზე მოიწევდა ამოყირავებულ პირამიდად. მოკლედ, ტიპური მოძალადე იყო.

ერთ წელიწადში დავიშალეთ. მეორედ ოცდახუთი წლისა გავთხოვდი. რატომ დავიშალეთ, ვერ მოგიყვებით, დღესაც მტკივა და იმიტომ.

ამასობაში, წარდგენა დამავიწყდა. იათამზე მდივანი გახლავარ. პროფესიით გერმანული ენის მასწავლებელი, მოწოდებით ჩახლართული ამბების მოყვარული და მკვლევარი. ძირძველი ქართული სახელით მშობლებმა დამაჯილდოვეს, რომ გითხრათ, აღფრთოვანებული ვარ მათი პატრიოტული სულისკვეთებით, ტყუილი იქნება. იათამზეს მხოლოდ მამაჩემი და კლასის დამრიგებელი მეძახდნენ. დღეს არც ერთია ცოცხალი, არც მეორე. მე კი ხან იამზე ვარ, ხან ია, ხან იკო, ხანაც ბზიკო. თუ ოდესმე მესამე წრეზე წავალ და შვილები მელირსება, სულ დავითებსა და თამარებს დავარქმევ.

* * *

შაბათს, შვიდის ნახევარზე გამოპრანჭული ვდგავარ ვაკის სასაფლაოსთან და წყნეთისკენ მიმავალ მიკროავტობუსს ხელს ვუქნევ. შენც არ მომიკვდე, არავინ აჩერებს — სავსეა ხალხით. სამაგიეროდ, დაბინდულშუშიანი „მერსედესი“ მოსისინდა. დგას და მელოდება. არ ვიმჩნევ. იქნებ მანიაკი იმალება დაბინდული შუშების მიღმა? წყნეთის ნაცვლად ულრან ტყეში გამაქანებს, ყელზე დანას მომადებს, გაუპატიურებას დამიპირებს... ფანჯარა მაინც ჩამოეწია, შევათვალიერებდი.

დრო გადის, დრო ჩემს ჯიბეზე არ ასხამს წყალს. თანდათან ვმწიფდები ტაქსის გასაჩერებლად. ის იყო, ნაბიჯი გადავდგი, რომ ნანატრი მიკროავტობუსიც გამოჩნდა. კიბეზე ფეხის შედგმისთანავე კუდუსუნში მუჯლუგუნი მკრეს, წავიფორთხიალე და მრისხანედ მოვიხედე უკან. რიგებს შორის გზას მიიკვლევდა მდედრობითი სქესის